

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

თ. უაუხჩიშვილი

ჰიპოკრატეს ცნობები
საქართველოს შესახებ

ბამოშცემლობა „მეცნიერება“

თ ბ ი ლ ი ს ი

1 9 6 5

მეცნიერული მედიცინის ფუძემდებელს, ჰიპოკრატეს (ძვ. წ. V—IV სს), რომელიც კარგად იცნობს პონტოს ქვეყნებს და კერძოდ კოლხიდაშიაც არის ნამყოფი, სხვა ნაწარმოებთა შორის ეკუთვნის ტრაქტატი „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“. წინამდებარე ნაშრომში თარგმნილია ამ ტრაქტატის მეორე ნაწილი, რომელშიც ჰიპოკრატეს მიერ აღწერილ ტომთა შორის გვხვდებიან „ფასისე-ლები“, რაც მის თხზულებაში, ან კოლხების სინონიმი უნდა იყოს, ან კრებითი სახელია ტომთა იმ ჯგუფისათვის, რომელშიც პირველობა იმ დროისათვის კოლხებს ეკირათ. ტრაქტატში აღწერილია კოლხიდის ბუნება და კლიმატური პირობები. ჰიპოკრატე ახსენებს კოლხიდის ქალაქებსა და სავაჭრო ადგილებს, სადაც მოსახლეობა სისტემატურად დადის (ცხადია, სავაჭრო მიზნებით) და საამისოდ წყლის ტრანსპორტს იყენებს. იგი აგვიწერს აგრეთვე კოლხურ საცხოვრებელ ნაგებობებს.

გამოკვლევაში, რომელიც ტექსტის თარგმანს უძღვის, განილუ-ლია თვითონ ჰიპოკრატესთან და მის ტრაქტატთან დაკავშირებული საკითხები და საგანგებოდ ექცევა ყურადღება იმ ცნობებს, რომლებიც ამ ავტორს საქართველოს შესახებ მოეპოვება.

ნაშრომი გათვალისწინებულია ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შემსწავლელთათვის.

შ ი ნ ა ა . რ ს ი

1. ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ
 - ბიოგრაფია 7—8
 - მემკვიდრეობა 8—14
 - ხელნაწერები 14—15
 - გამოცემები და თარგმანები 15—16
 - წყაროები 16—18
 - ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ 18—33
2. Сведения Гипократа о Грузии (резюме) 33—35
3. ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ—ბერძნული ტექსტი
და ქართული თარგმანი 36—77
4. საძიებელი 78—85

ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ

ბ ი ო გ რ ა ფ ი ა სახელგანთქმული ბერძენი ექიმი, ჰიპოკრატე დღესდღეობით მეცნიერული მედიცინის ფუძემდებლად არის აღიარებული, ხოლო ანტიკური სამყაროს კორიფევესები მას უწოდებდნენ „დიდსა“ (არისტოტელე, *Pol.* VII, 4) და *princeps medicinae*-ს (პლინიუსი, *NH*, VII, 171). მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უამრავი მასალა არსებობს (ჯერ მარტო ოთხი ბიოგრაფიაა), მაგრამ როგორც მკვლევრები ასკენიან, მეტი წილი მათგან ლეგენდარული ხასიათისაა. უეჭველ ცნობათა მიხედვით მისი ბიოგრაფია ასეთია¹: ჰიპოკრატე დაიბადა დაახლოებით ძვ. წ. ა. 460 წელს, კუნძულ კოსზე, ასკლეპიადთა გვარის ოჯახში. მისი მამა ექიმი იყო — ჰერაკლიდე, დედას ერქვა თაქნარეტე. პაპასაც ჰიპოკრატე ერქვა. ჰიპოკრატეს ყავდა ვაჟები — თესალოსი და დრაკონი და სიძე — პოლიბოსი, რომლებიც ასევე მედიცინის დარგის მოღვაწეები იყვნენ და ჰიპოკრატეს საქმიანობის გამგრძელებლები. იტოცხლა მან 85, 90, 104 თუ 109 წელი (სხვადასხვა ცნობების მიხედვით) და ამის შესაბამისად გარდაიცვალა 375, 370, 356 თუ 351 წელს. ამ თარიღთა შორის უპირატესობას, ჩვეულებრივ, 356 წელს ანიჭებენ ხოლმე. გარდაიცვალა თესალიაში და დასაფლავებულია სადღაც გირტონსა და ლარისას შორის.

გადმოცემათა მიხედვით ჰიპოკრატე პატარა ტანის კაცი ყოფილა. მოღწეულია მისი გამოსახულებები — ბიუსტების სახით და მონეტებზე (ძვ. წ. ა. IV ს-ის და შემდეგი ხანის). ჰიპოკრატეს პირველი მასწავლებელი იყო მისი საკუთარი მამა. ამას გარდა დადიოდა

¹ W. Christs, *Geschichte der griechischen Litteratur, Erster Teil. Sechste Auflage, München, 1912*, გვ. 634—640.

Gossen, *Hippokrates: RE, 16. Halbband, Stuttgart, 1913*, გვ. 1801—1852.

L. Edelstein, *Hippokrates: RE, Supplementband VI. Stuttgart, 1935*, გვ. 1290—1345.

ექიმ ჰეროდოს სელიმბრიელის სკოლაში. მის მასწავლებელთა შორის იხსენიებიან გორგიასი და დემოკრიტე (გორგიასი რიტორიკას ასწავლიდა, ხოლო დემოკრიტე — ფილოსოფიას); მან ახალგაზრდობაშივე დასტოვა თავისი სამშობლო და ბევრი იმოგზაურა სხვა ქვეყნებისა და ხალხების შესწავლის მიზნით. არ არის დადგენილი, თუ სახელდობრ რომელი ქვეყნები მოინახულა. უდაოდ არის მიჩნეული, რომ იყო თრაკიაში, პრაქტიკა ჰქონდა თასოსზე, აბდერაში, ლარისაში, მელიბოდასა და კიზიკოსში.

მკვლევართა ნაწილი იმ აზრისაა, რომ ჰიპოკრატე (ყოველ შემთხვევაში ავტორი *Περὶ ἀείρων ἰσθμῶν τῶν αὐτῶν*-ის) კარგად იცნობს პონტოს ქვეყნებს და პირადად არის ნამყოფი ფასისზე¹.

სხვა ცნობები მის შესახებ ლეგენდარული ხასიათისაა, რაც იმას მოწმობს, რომ ჰიპოკრატე ძალიან პოპულარული პიროვნება იყო და მისი ბიოგრაფიითა და მოღვაწეობით დაინტერესებული პირები, რომლებიც მასზე გაცილებით უფრო გვიან ცხოვრობდნენ, მას მიაწერდნენ ისეთ რამეებს, რაც სინამდვილეში არც მას გადახდენია თავს და არც სხვას.

ზოგი ბიოგრაფი ჰიპოკრატეს მეტისმეტად მაღალი სულის ბერძნად წარმოადგენს და ამავე დროს ბარბაროსების (ე. ი. არაბერძნების) მოწინააღმდეგედ. სამაგიეროდ არის იმ რიგის ცნობებიც, სადაც ის აღმოსავლეთის მეცნიერების კარგ მცოდნედ არის აღიარებული.

ჰიპოკრატეს სახელით 100 ბერძნული და მემკვიდრეობა 30 ლათინური თხზულებაა ცნობილი, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა ყველა ეს ნაწარმოები მისად მიჩნეული. მაგ., ერთ კრებულად იყო წარმოდგენილი იონიურ დიალექტზე დაწერილი 53 თხზულება, 72 წიგნის შემცველი; სხვაგან 60 თხზულება იყო მისად აღიარებული. ვატიკანის ერთ ხელნაწერში 35 წიგნია მხოლოდ მისი (თუმცა იქვე არის ინდექსი 62 წიგნისა) და ა. შ.

¹ Die hippokratische Schrift *Περὶ ἐξῆς ἰσθμῶν*, U. Wilamowitz-Moellendorff: Sitzungsberichte der Ak. der Wissenschaften zu Berlin, 1901 I, 2, გვ. 2—23.

Griechische Lesebuch von U. von Wilamowitz-Moellendorff, I. Text, Zweiter Halbband, Berlin, 1902, გვ. 199—200.

F. Jacoby, Zu Hippokrates *Περὶ ἀείρων ἰσθμῶν τῶν αὐτῶν*: Hermes, 46. Band, Berlin, 1911, გვ. 518—567.

H. Diller, *Wanderarzt und Aitiologe...* 1934, გვ. 79.

XVI ს-ში Mercuriali-მ 4 კატეგორიად დაჰყო ჰიპოკრატეს სახელით ცნობილი შრომები: 1. ნამდვილად ჰიპოკრატესი, 2. მისი ვაგებისა და მოწაფეების მიერ გამოცემულები, 3. ჰიპოკრატეს აზრების მიხედვით დაწერილი და 4. ნამდვილად არაჰიპოკრატესული თხზულებები.

XIX ს-ში Link-მა გამოთქვა აზრი, რომ ვერც ერთ ნაწარმოებზე ვერ ვიტყვიტ დანამდვილებით, რომ ის მაინცდამაინც ჰიპოკრატესიაო. ამის შემდეგ სულ უკანასკნელ წლებამდე ბევრი მსგავსი აზრი გამოთქმულა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ Sigerist-ი წერდა: „Von Hippokrates nichts wissen, als dass er gelebt hat“-ო¹.

ასეთ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ყველა არ იზიარებს. მითუმეტეს, რომ უკვე პლატონი (Phaedr. 270 c, Protag. 311 b) და არისტოტელე (Pol. VII 4) იცნობენ მის ნაწარმოებებს და კიდევაც ასახელებენ და ნაწყვეტებიც მოჰყავთ. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ჰიპოკრატეს უტყუარი შრომებია:

Προγυωσταια (პროგნოსტიკა),

Περὶ διαίτης ὁδῶν I (მწვავე ავადმყოფობათა შესახებ I),

Ἐπιδημία: (ეპიდემიები) I და III,

Περὶ τῶν ἐν κροσσῶν ἰασημάτων (თავის წყლულებათა შესახებ).

ასევე შესაძლოა „აფორიზმებიც“ ჰიპოკრატესული იყოს. ამის გარდა, ჩვეულებრივ, მის კალამს აკუთვნებენ:

Περὶ ἀρχαίης ἰηραίης (ძველი მკურნალობის შესახებ);

Περὶ ἀγῶν (მოტეხილობათა შესახებ),

Περὶ χύμα (ნესტიანობის შესახებ),

Περὶ ἀέρων ἰσθῶν ἰσθῶν (ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ),

Περὶ ἰσθῶν ἰσθῶν (წმინდა ავადმყოფობის შესახებ),

Περὶ ἀρῶν ἰσθῶν (სხეულის სახსართა ჩასმის შესახებ).

სხვა მისი სახელით არსებულ და არამისად მიჩნეულ ნაწარმოებთა ჩამოთვლას არ შეეუდგები, რადგან ეს ჩემს უშუალო ამოცანას (ჰიპოკრატეს ცნობების შესწავლას საქართველოს შესახებ) ძალიან სცილდება.

ჰიპოკრატეს სახელით ცნობილ ნაწარმოებთა შორის არის ერთი, Περὶ ἀέρων, ἰσθῶν, ἰσθῶν (ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესა-

¹ Gaston Buissette, *Leben und Lehre des Hippokrates*. Stuttgart-Leipzig, 1932. Erwin Lick-ის თარგმანი და წინასიტყვაობა.

ნებ), რომელშიც მოიპოვება ცნობები საქართველოზე. მის შესახებ სპეციალისტთა საერთო აზრია, რომ იგი არის ამ ავტორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თხზულება შინაარსის, ფორმისა და დამუშავებულობის თვალსაზრისით.

ნაწარმოები თანამედროვე გამოცემების მიხედვით შედგება 24 პარაგრაფისაგან. შინაარსის მიხედვით 1—11 §-ს არის წმინდა სამედიცინო, (ე. ი. რა გარემოში რა ავადმყოფობანი ჩნდება. გასათვალისწინებელია წყალი, ჰაერი, ქარი. ეს უნდა იცოდეს ექიმმა, როდესაც უცხო ქალაქში შედის, მან უნდა გაითვალისწინოს ეს პირობები), ხოლო §-ს 12—23 არის, ასე ვთქვათ, ეთნოგრაფიული—აღწერილია აზიისა და ევროპის ტომები, მათ შორის ისინი, ვინც ავტორმა რაღაც ნიშნით გამორჩეულად მიიჩნია¹. 24-ე § განმეორებაა და შეჯამება იმისა, რაც არის 1—11 §-ში.

აზრობრივად, სტილით, ენით და სხვ. ეს ნაწილები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან, მაგრამ ორ თემას კი შეიცავენ; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ფიზიკური ფაქტორები, რაც ძირითადია 1—11 §-ში, გვხვდება 12—23 §-შიც და მორალურ-სოციალური ამბები მარტო ამ მეორე ნაწილში არაა, მათ შესახებ ლაპარაკია პირველ ნაწილშიც, *Ἰερ: ἀράω, ἰβάρω, ἰπάρω*-ს იცნობდა ევრიპიდე. მის „მედიაში“ III სტასიმი (824 და შმდ.) მთლიანად ზომიერი ჰავის შექებაა; მედია აქებს თავისი ქვეყნის კლიმატს და მას მიაწერს თავის მონაცემებსა და შესაძლებლობებს (სიბრძნის სიყვარულსა და ა. შ.).

ამ ნაწარმოებმა გავლენა მოახდინა ჰეროდოტეზედაც (III, 106; VII, 102; IX, 122 და სხვ.), რომელიც ამბობს, რომ გარკვეული გეოგრაფიული პირობები ადამიანში იმუშავებს შრომის სიყვარულს; ნაყოფიერ ქვეყნებში ადამიანი განაზებულია და სხვ.²

ჰიპოკრატეს ნაშრომს იცნობს და იმოწმებს ჯერ კიდევ არისტოფანეს სქოლიასტი, Nub. 332, სიტყვასთან *ἰατροπέχνη*.

ძველსა და ახალ ავტორთა შორის გავრცელებული იყო აზრი, რომ ეს ნაწარმოები უტყუარად ჰიპოკრატეს ეკუთვნის, მაგრამ 1901 წ. გამოქვეყნდა უ. ვილამოვიც-მელენდორფის შრომა³, რო-

¹ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჰეროდოტეც თავის „ისტორიაში“ აღწერს საკვირველსა და იმას, რამაც მისი ყურადღება მიიპყრო, როგორც ჩანს, ეს იმ დროისათვის საგნისადმი საერთო დამოკიდებულება იყო.

² Nestle. Hippocratica; Hermes, Bd. 73, № 1—3, 1938 წ., გვ. 24—26.

³ Sitzungsberichte der... Akademie der Wissenschaften zu Berlin, 1901, I, 2, გვ. 2—23: Die hippokratische Schrift *Περὶ τῆς νόσου*.

მელშიაც მან უარპყო ეს მოსაზრება მისთვის ჩვეული დამაჯერებელი არგუმენტაციით და ამის შემდეგ თითქმის ყველა ავტორი, ვინც კი ამ ნაწარმოებს შეეხო, მის თვალსაზრისს დაადგა.

ამ ნაწარმოების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ აზრებს ვხვდებით (ალარ მოვიყვან ავტორებს. ვინც უ. ვილამოვიცზე აღრე მსჯელობდნენ ამ საკითხზე, მათ შორის ერთსულოვნება იყო და ყველა სცნობდა ერთ ავტორს, ჰიპოკრატეს): უ. ვილამოვიცის აზრით *Περὶ ἀέρας ὑμῶν τῶν αἰσθητικῶν* არ ეკუთვნის ჰიპოკრატეს, რადგან მას სულ სხვა გეოგრაფიული პოზიციონტი აქვს, ვიდრე ჰიპოკრატეს. მისი ავტორი არის დედა-საბერძნეთიდან (ათენი, სპარტა, ბეოტია, თესალია) და ეს იგივე პირია, ვინც დასწერა *Περὶ ἐπιδημιῶν* (ასევე ჰიპოკრატესად მიჩნეული, მაგრამ უკვე გალენოსის მიერ უარყოფილი, როგორც ჰიპოკრატეს ნაწარმოები). *Περὶ ἀέρας ὑμῶν τῶν αἰσθητικῶν* შედგება ორი ნაწარმოებისგან: ერთია §§ 1—11 და მეორეა §§ 12—24. ორივეს ავტორი ერთია¹.

ამავე აზრს იმეორებს Gossen-ი, რომელიც ამბობს, რომ ეს არის ორი წიგნი, სხვადასხვა თემაზე დაწერილი ერთი და იმავე ავტორის მიერ და შემდეგ გაერთიანებული უფრო მოგვიანო რედაქტორის ხელში. რედაქტირება მოხდა V ს-ის უკანასკნელ პერიოდში, მას ატყვია შემდეგი დროის გადაშუშავების კვალიც².

მკვლევართა ერთი ჯგუფი იმ აზრისაა, რომ ეს ერთი ნაწარმოებია, მაგრამ ორი ნაწილისაგან შემდგარი. ამ მკვლევართა შორის არის F. Jacobsy, რომელიც უ. ვილამოვიცისაგან განსხვავებით იმ აზრისაა, რომ ავტორი იონიელია. მას ჰქონდა პრაქტიკა პონტოს ქალაქებში და *Περὶ ἀέρας ὑμῶν τῶν αἰσθητικῶν* უფრო აღრე დაწერილი, ვიდრე *Περὶ ἐπιδημιῶν*³.

ერთი ავტორის ერთ მთლიან ნაწარმოებს, მხოლოდ 2 ნაწილისაგან შემდგარს, სცნობენ W. Alf, Trudinger-ი და Heiberg-ი⁴. ერთი ავტორის ერთ მთლიან, ორნაწილიან ნაწარმოებად აღიარებენ *Περὶ ἀέρας*-ს H. Dittmer-ი⁵ და Louis Bourgey⁶. ესენი ჰიპო-

¹ Sitzungsberichte der Akademie der Wissenschaften zu Berlin 1901, გვ. 2—23: Die hippokratische Schrift *Περὶ ἐπιδημιῶν*.

² RE, 16. Halbband, Stuttgart, 1913, გვ. 1801—1852.

³ Zu Hippokrates *Περὶ ἀέρας ὑμῶν τῶν αἰσθητικῶν* Hermes, 46. Band, Berlin, 1911, გვ. 518—567.

⁴ Philologus, Supplementband 21, 3, 52.

⁵ Konstitutionstypen im Corpus Hippocraticum, Würzburg, 1940.

⁶ Observation et expérience chez les médecins de la collection Hippocratique, Paris, 1953.

კრატეს არ აცხადებენ ამ ერთ ავტორად, მაგრამ H. Dittner-ი-
მაინც ჩანს, გულნაკლულად შეხვდა უ. ვილამოვიცის შრომას: ნაწარ-
მოები ყოველთვის ჰიპოკრატეს მიეწერებოდა და ვილამოვიცმა ეს
უარპყოო და დასძინს: ამ ნაწარმოებზე იყო ძირითადად დამყარე-
ბული ჰიპოკრატეს თეორია — ადამიანი ფიზიკურად და ხასიათით.
ბუნებასთან არის მთლიანობაში და ამაზე იყო აგებული შემდეგი
დროის რასობრივ-გეოგრაფიული ძიებანიო.

უდაოდ ჰიპოკრატეს ნაწარმოებად მიაჩნიათ Περὶ ἀέρων, ἰσθμῶ-
των, τῶπων ვ. კარპოვსა¹ და W. Nestle-ს². ნესტლე მას დაახლ.
430 წლით ათარიღებს (ისევე, როგორც Περὶ ἐρῆς ἰσθμῶν-ს), ხოლო
საყოველთაოდ აღიარებულ, კემმარიტ ჰიპოკრატესეულ „ეპიდემი-
ებიებს“ 410 წლით (თუ რამ განსხვავებაა ამ ნაწარმოებთა შორის,
სწორედ იმიტომ, რომ მათ დაწერას შორის 20-მა წელმა განვლო
და ავტორს ამ ხანში შესაძლოა შესცვლოდა შეხედულებანი და
დამოკიდებულება მოვლენებისადმი).

H. Diller-ი ამ ნაწარმოებს სხვადასხვა ავტორის ორ წიგნად
წარმოიდგენს, მხოლოდ ეს ორი ავტორი ერთი და იგივე, ჰიპო-
კრატეს წრიდან იყენნო. ეს ორივე წიგნი, ისევე, როგორც მრავალ-
გაღზის ხსენებული Περὶ ἐρῆς ἰσθμῶν, მას დაახლ. 400 წელს დაწე-
რილად მიაჩნია³.

L. Edelstein-ი უფრო შორს მიდის, მისი აზრით, II წიგნი
(ე. ი. §§ 12—23) გეოგრაფოსის დაწერილია და შემდეგ, საერთოდ,
შემთხვევით არის ეს ორი დამოუკიდებელი ნაწარმოები გაერთიან-
ებული⁴. K. Merz-ს მთელი ნაწარმოები ლიტერატურულ კომპი-
ლაციად მიაჩნია⁵.

როგორც ვხედავთ, უ. ვილამოვიცის შრომის შემდეგაც ამ
ნაწარმოების მიმართ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მკვლევართა
შორის: ზოგი სცნობს ერთ ავტორს, ჰიპოკრატეს; ზოგი სცნობს.
ერთ ავტორს არა ჰიპოკრატეს (მაგრამ მისი სკოლისას); ზოგი —

¹ Гиппократ, Иσθμιαινε книги под редакцией В. И. Карпова, 1936 г.,
стр. 275. ვ. კარპოვს *Περὶ ἐρῆς ἰσθμῶν* არ მიაჩნია ჰიპოკრატესად. იქვე, გვ. 493.

² Hippocratica; Hermes, Band 73. Berlin, 1938. გვ. 1—38.

³ Philologus, Supplementband XXVI, Heft 3. Leipzig, 1934: Wander-
arzt und Aitiologe: Studien zur hippokratischen Schrift *Περὶ ἀέρων*
ἰσθμῶν τῶπων.

⁴ *Περὶ ἀέρων* und die Sammlung der hippokratischen Schriften. 1931.

⁵ Forschungen über die Anfänge der Ethnographie bei den Griechen,
Zürich, 1923.

ერთ ავტორს, არა ჰიპოკრატეს და არა მისი სკოლისას; ზოგი სცნობს ორ ავტორს (ჰიპოკრატეს წრიდან): ზოგი — ორ ავტორს, არა ჰიპოკრატეს წრიდან და ა. შ. ზოგს მიაჩნია ერთ მთლიან ნაწარმოებად; ზოგს მთლიან ნაწარმოებად, მაგრამ ორი ნაწილისაგან შემდგარად; ზოგიც ორ დამოუკიდებელ, შემდეგ გაერთიანებულ ნაწარმოებს ხედავს მასში და სხვ.

ნაწარმოების შესწავლისა და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის შემდეგ მე პირადად დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ იმაში, ორ ნაწილს გამოვყოფთ ნაწარმოებში, თუ ამ ნაწილებს დამოუკიდებელ შრომებად ვაღიარებთ. ფაქტია, რომ ორი თემა, ორი სხვადასხვა ნაწილი მასში აშკარად გამოირჩევა (§§ 1—11 და §§ 12—23). § 24 რომ ერთგვარად მის დასკვნას წარმოადგენს, უფრო კი იმის გამეორებას, რაც პირველ 11 §-შია მოცემული, ესეც საეჭვო არ არის. საერთო ადგილები I და II ნაწილებს შორის არის (უფრო მსოფლმხედველობითი ხასიათის, ვიდრე ფაქტობრივი). ყოველივე ამის საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არის ერთი კაცის მიერ დაწერილი (ორ ნაწარმოებად, თუ ორ ნაწილად) და ან მის მიერვე, ან შემდეგ სხვის მიერ გაერთიანებული; უფრო კი მის მიერ, რადგან მთლიანად 24-ე პარაგრაფი არ ეწინააღმდეგება პირველ 11 პარაგრაფს (ცალკეულ წინააღმდეგობებზე ბევრი ავტორი ლაპარაკობს¹).

იყო თუ არა ეს ერთი ავტორი მაინცადამაინც სახელგანთქმული ჰიპოკრატე, ამისი მტკიცება მიჭირს, მაგრამ რადგან ტრადიცია მას ჰიპოკრატეს მიაწერს და შემდეგ — ჰიპოკრატეს ავტორობის უარმყოფელებიც კი ამ ნაწარმოებს მაინც ჰიპოკრატესეულს უწოდებენ (შდრ. ვილამოვიცი „Die hippokratische Schrift Περὶ ἰσχύος νοσήσας“, იაკობი „Zu Hippokrates Περὶ ἀέρας, ἰσχύος, τήρας“, დილერი „Studien zur hippokratischen Schrift Περὶ ἀέρας, ἰσχύος, τήρας“ და სხვ.), მე მას პირობით ჰიპოკრატეს თხზულებად მივიჩნევ, და დიდ აუცილებლობას ვერ ვხედავ საიმისოდ, რომ მის ავტორად სხვა ვეძებოთ.

ნაწარმოები დაწერილია იონიურ დიალექტზე, დაახლოებით იმავე ენაზე, რომელზედაც არის დაწერილი მაგ., ჰეროდოტეს „ისტორია“.

¹ გადაკეთებები, ინტერპოლაციები და ა. შ. უთუოდ იქნებოდა, რაც საერთო ვითარებაა ძველი ავტორების მიმართ. აბა რომელი ძველი ავტორის თხზულების შესახებ შეგვიძლია დაბეჯითებით თქმა, რომ ის მაინცადამაინც იმ სახითაა ნოწვეული, როგორც დაწერა, ვთქვათ, ჰომეროსმა, ჰეროდოტემ და სხვ.?

ენა არის საქმიანი, სტილი — მომჭირნე, თემიდან გადახვევა არ
ახასიათებს ავტორს; ოლონდ აზრობრივი განმეორებები ხშირია.
ერთი და იგივე დებულება ხშირად მეორდება სხვადასხვა კონ-
ტექსტში.

ენისა (და აზროვნების) ეს თავისებურება ნაკარნახევია თემი-
თაც — ავტორი წერს მეცნიერულ თემაზე, რომლის გაშუქების დრო-
საც წიაღსვლები გამართლებული არ იქნებოდა. მაგრამ ამას გარდა,
ჩანს, ასეთია მისი მანერა — ის გაურბის თავისი შრომის ზედმეტ
ამბებით გადატვირთვას.

ხელნაწერები კიპოკრატეს ნაწარმოებთა შემცველი ხელნა-
წერები საკმაოდ ბლომადაა და ისინი უცხოე-
თის სხვადასხვა სიძველეოსაცავეებში არიან დაცული. მათ შესახებ
ცნობებს ვკრებ ჩემს ხელთ არსებულ გამოცემათა და გამოკვლევა-
თაგან¹.

ძირითადი ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ Περὶ ἀέρας, ὑμᾶ-
ται, τόπων-ის ბერძნულ დედანს შემდეგია:

Vaticans gr. 276; S. XII, გვ. 61^r—67^v.

Vaticanus Palatinus gr 192; S XV გვ. 26^v—30^r; 68^r—71^r.

Monacensis gr 71; S XV გვ. 374^r—379^r; 402^v—406^r.

Holkhamensis gr 282; S XV.

Mutinensis Estensis gr 220. S XV. გვ. 63^v—70^v.

Vaticanus Barberinus I 5; S XV გვ. 237—292.

Parisinus gr 2255. S XV გვ. 376^r—378^v; 393^r—395^r.

Parisinus gr 2146. S XVI გვ. 99^r—110^r.

Venetus Marcianus App cl V 14; S XVI, გვ. 11^r—19^r.

Ambrosianus SQT VIII 9 (ed. Basileensis).

Ambrosianus SQE VIII 14 (ed. Aldina).

¹ Hippocratis opera quae feruntur omnia, vol. I. recensuit Hugo Ku-
ehlewein, Lipsiae 1894. Prolegomena, caput I: De codicibus manu scrip-
tis... scripsit I. Ilberg, გვ. V—XXVIII.

RE, 16. Halbband, Stuttgart, 1913. G o s s e n-ის სტატია, გვ. 1801—1852.

W. Christs Geschichte der griechischen Litteratur. I Teil⁶. Mün-
chen 1912, გვ. 634—640.

Hippocratis de aere aquis locis., herausgegeben von G. G u n d e r-
m a n n, Bonn 1911.

H. Diller, Die Überlieferung der hippokratischen Schrift Περὶ
ἀέρας, ὑμᾶτων τόπων: Philologus, Supplementband XXIII, Heft III. Leip-
zig 1932.

არის ხელნაწერები, სადაც იმავე ნაწარმოების ლათინური თარგმანია, Ambrosianus lat 9 108 Inf. S X, გვ. 19^o—21^r.

Parisinus lat 7027; S X¹.

გამოცემები და თარგმანები ჰიპოკრატეს თხზულებები მრავალგზის არის გამოცემული და მათი თარგმანი ბევრ ენაზე არსებობს. *Περὶ ἀέρων ἰσχύων ἰατρικῶν*-ის უძველესი გამოცემებია: პარიზისა 1536 წლის, იმავე პარიზისა, Alemannus-ის კომენტარებით 1557 წლის, Martinus-ისა—1646 წლის, A. Korais-ის 1800 წლისა 2 ტომად, პარიზში გამოსული, Chaillly-ს 1817 წლის, ჰამბურგში გამოცემული Petersen-ის მიერ 1833 წლის, და ა. შ. ბოლო ხანებამდე ჰიპოკრატეს ტექსტების ყველაზე უკეთეს გამოცემად ითვლებოდა Littré-სი: *Oeuvres complètes d'Hippocrate par E. Littré*, Paris 1849—61. ტექსტის დამუშავებისას ვსარგებლობდი შემდეგი გამოცემებით:

1. *Hippocratis opera quae feruntur omnia vol. I, recensuit Hugo Kuehlewein. Prolegomena conscripserunt Ioannes Ilberg et Hugo Kuehlewein*, Lipsiae, 1895.

2. *Griechische Lesebuch, von U. v. Wilamowitz-Moellendorff*, Text. II Halbband, Berlin, 1902, გვ. 200—207.

3. *Hippocratis De aere aquis locis... herausgegeben von G. Gundermann*, Bonn, 1911, რაც მისდევს ვატიკანის XII ს-ის ხელნაწერს და ვარიანტებში აქვს სხვა ხელნაწერთა კითხვა-სხვაობანი. აქვეა ლათინური ტექსტიც, გადმობეჭდილი პარიზის X ს-ის ხელნაწერიდან.

4. *Hippocratis Vol. 1, edidit I. L. Heiberg*, Lipsiae et Berolini 1927.

სამწუხაროდ არ მინახავს ამ ნაწარმოების უკანასკნელი, ჩემთვის ცნობილი გამოცემა: *Ippocrate, Dell'aria, delle acque, dei luoghi. Il giuramento, La legge, testo e trad. a cura di Untersteiner Candia L. Coll. Il melagrano CLXXI—CLXIII Firenze Sansoni* 1957. ჰიპოკრატეს *Περὶ ἀέρων ἰσχύων ἰατρικῶν*, სხვა ნაწარმოებებ-

¹ სხვა ენაზე არსებული თარგმანების ხელნაწერებს აღარ ვეხებები. ჰიპოკრატეს თხზულებების შემცველი სხვა ხელნაწერებიც არსებობს, მაგრამ იქ *Περὶ ἀέρων ἰσχύων ἰατρικῶν*-ი არ არის, ასეთი ხელნაწერებია: *Vindobonensis med. IV (P)*. S X; *Parisinus gr. 2253*, S. X; *Marcianus Ven. 269*, S. XI; *Laurentianus 74,7 B. S. XI—XII* და ა. შ. ყველა ხელნაწერი წარმოსდგება დაკარგულ ტიპისგან.

თან ერთად მრავალგზის ყოფილა თარგმნილი (არ ვგულისხმობ უძველეს ლათინურ, არაბულ და სირიულ თარგმანებს).

ლათინურად ის პირველად გამოიცა 1497 წელს, ვენეციაში. შენდევ. პარიზის ცნობილი ხელნაწერის მიხედვით (№ 7027, X ს-ისა) ვამოსცა Kühlewein-მა 1905 წელს (Hermes, 40 გვ. 248—274). ფრანგული თარგმანებია: უძველესი Damascène-ისა, 1662 წ. და სხვები რომ არ მოვიხსენიოთ, 1953—54 წლების, ლიონის გამოცემა 4 ტომად (სადაც I ტომში (გვ. 127—156) არის ჩვენი ტექსტი) საერთო სათაურით: Les oeuvres médicales d'Hippocrate d'après l'édition de Foës accompagnées en fin d'édition de réflexions et commentaires de M. le prof. Savy. ინგლისური უძველესი თარგმანია Francis Clifton-ის (თუკიდიდეს ნაწყვეტებთან ერთად), London, 1734 წ. ერთ-ერთი უკანასკნელი თარგმანია: The medical works of Hippocrates, a new translation from the original greek made especially for english readers by the collaboration of John Chadwick, M. A. und W. N. Mann, M. D. Oxford 1950. გერმანული თარგმანებია: Grimm-ისა Altenburg 1781 წ., Ritter v. Högelmüller-ისა, Wien, 1804; Lindau-ის, Breslau, 1815; J. Kuder-ისა ლექსიკონითურთ, Sulzbach, 1849. უახლესი გერმანული თარგმანია; Richard Kapferer-ისა (Stuttgart 1939 წ. მრავალტომეული. ჩვენი ტექსტი არის VI ნაწილში).

რუსულად ჰიპოკრატეს თხზულებები გამოვიდა 1936—44 წელში. Пер: ἀρχαῖ... შევიდა ტომში: Гиппократ, Избранные книги, перевод с греческого проф. В. И. Руднева, редакция, вступительная статья и примечания проф. В. П. Карпова. 1936. стр. 275—305 ნაწყვეტები ამ შრომისა, ბერძნული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი გამოქვეყნებულია ლატიშევის ცნობილ კრებულში „Сведения греческих и римских писателей о Склифии и Кавказе“, т. I.

წყაროები

ჰიპოკრატეს ნაწარმოების „ჰაერთა, წყალ-
თა და ადგილთა შესახებ“ წყაროების საკითხი, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. სამეცნიერო ლიტერატურაში გაცილებით ხშირია ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ იცნობდა და იყენებდა ჰიპოკრატეს ამა თუ იმ ნაწარმოებს (მაგ., ევრიპიდე¹, თუკიდიდე², პლატონი, არისტოტელე, არისტოფანეს სქოლიასტი...).

¹ W. Nestle, Hippocratica... გვ. 24—26.

² K. Weidauer, Thukydides und die hippokratischen Schriften, Heidelberg, 1954.

რაც შეეხება ნაწარმოებს „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“, ვილამოვიცი სცნობს მისი ავტორის ურთიერთობას ჰეროდოტესთან, დემოკრიტესთან და თვით ჰიპოკრატესთან¹.

პ. ბერგერი აღიარებს ჰეროდოტეს გავლენას ჰიპოკრატეზე (ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოებთან დაკავშირებით)²; ხოლო ვ. კრისტი პირდაპირ წერს, რომ მსგავსება ჰეროდოტეს ცნობებისა და ჰიპოკრატეს ნაწარმოებისა „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ორივესათვის საერთო წყარო იყო ჰეკატაეოსი³.

ჩემი შთაბეჭდილება ამ ნაწარმოების შესწავლის შემდეგ ასეთია: ავტორს აქვს პირადი დაკვირვებები ხალხებზე, ტომებზე და მათ საცხოვრისზე. აქ მას ლიტერატურული წყარო არ სჭირდება. კოლხიდის ბუნების ის აღწერილობა, რაც ამ ნაწარმოებში არის, არსად სხვა ავტორთან არ გვხვდება არც მანამდე და არც მერე. ხოლო სურათი, რომელიც აქ არის დახატული, უდაოდ ზუსტია, როგორც ამას აქვე, ქვემოთ დავინახავთ.

ხალხების აღწერისას მას ზოგი რამ აქვს საერთო ჰეროდოტესთან (მაგ., სავრომატების საცხოვრისის განსაზღვრა, შდრ. ჰეროდოტე IV, 21; ან იმავე სავრომატების წესჩვეულებათა აღწერა, შდრ. ჰეროდოტე, IV, 117). ზოგან კი ისინი ძალიან სცილდებიან ერთმანეთს. მე ვფიქრობ, ეს იმიტომ კი არა, რომ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრისა არიან, არა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საკითხს სხვადასხვა მხრივ აშუქებენ, მაგ., ჰიპოკრატეს აინტერესებს კოლხების კონსტიტუციური ტიპი, ხოლო ჰეროდოტეს — მათი ურთიერთობა ბერძნულ-სპარსულ ომებთან. ამიტომაც, რომ ჰიპოკრატე აღწერს კოლხების (sexu ფასისელების) გარეგნობას და ნაწილობრივ მათ ყოფას, ხოლო ჰეროდოტე კი კოლხების ურთიერთობას ეგვიპტელებთან და მათ დამოკიდებულებას სპარსეთის სახელმწიფოსთან.

რაც შეეხება ჰეროდოტეს ურთიერთობას ჰეკატაეოსთან, საყოველთაოდ აღიარებულია ის გარემოება, რომ ჰეკატაეოსი ჰეროდოტესათვის ერთ-ერთი წყარო იყო.

ჰიპოკრატეს ნაწარმოების „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ ჰეკატაეოსის „დედამიწის აღწერილობის“ ჩვენამდე მოღწეულ

¹ Die hippokratische Schrift *Ilēpi ipejs νοσσοῦ*... გვ. 22.

² H. Berger, *Geschichte der wiss. Erdkunde* I, 99.

³ W. Christs... გვ. 462, შენ. 2.

ფრაგმენტებთან შედარება არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვამტკიცოთ, ჰიპოკრატემ ამა და ამ ცნობის მოყვანისას მაინცდამაინც ჰეკატაეოსის ამა და ამ ცნობით ისარგებლაო, მაგრამ a priori შეიძლება იმის თქმა, რომ ჰიპოკრატე, როგორც უაღრესად განათლებული კაცი, უეჭველად იცნობდა მის დროს კარგად ცნობილი ლოგოგრაფოსის ნაშრომს..

ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ მე ვთარგმნე ჰიპოკრატეს ნაწარმოების — „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ ე. წ. მეორე ნაწილი, ტრადიციული დაყოფის თანახმად 12—24 §§. რაც, მკვლევართა ნაწი-

ლის აზრით, სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოებია და მექანიკურად არის დაკავშირებული I ნაწილთან, 1—11 §§-თან, რაც, მათი აზრით, ასევე დამოუკიდებელი ნაშრომია. ჩემს ნათარგმნ ნაწარმოებში საკუთრივ საქართველოს შესახებ არაა ბევრი ცნობა. (რაც არის, იმის შესახებ აქვე, ქვემოთ გვექნება ლაპარაკი), მაგრამ თავისთავად მთელი ეს თხზულება მეტისმეტად საინტერესოა არა მარტო იმ ცნობების თვალსაზრისით, რასაც ის შეიცავს, არამედ კიდევ უფრო მეტად იმ აზრების გამო, რასაც ავტორი გამოთქვამს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, და ამდენად სულაც რომ არ ყოფილიყო ამ თხზულებაში ცნობები საქართველოს შესახებ, მაინც ზედმეტი არ იქნებოდა მისი ქართულად თარგმნა.

საკუთრივ საქართველოს შესახებ ამ ნაწარმოებში შემდეგი ცნობები გვაქვს: პირველ რიგში უნდა მოვიყვანო ის ცნობა, რომელსაც ავტორი გვაწვდის კოლხების შესახებ. სიტყვა „კოლხებს“ ჰიპოკრატე არსად ხმარობს, ის ასახელებს ხალხს, რომელიც ფასისშიცხოვრობს (§ 15) და ერთგან ამ ხალხს უწოდებს *Φασίηοι*-ს. *Φασίηοι*-ს ჩვეულებრივ თარგმნიან ხოლმე „ფასიანებად“ (შდრ. ქსენოფონტის „ფასიანები“); მე ვთარგმნი ამ სიტყვას — „ფასისელები“, ისევე ჰიპოკრატეს ტექსტის მიხედვით. მაგ. *Ἄσθηνος* (§ 16) — არის „აზიელები“ (შებირისპირებული *Ἰσθραχίσι*-სთან — „ევროპელები“), ესაა ჩვეულებრივი წარმოება -*αυ* სუფიქსით (იონიური ვარიანტი -*ηυ*) ხალხის, ტომის სახელისა, მეტწილად გეოგრაფიული სახელებისგან (*Ἄσθηνος*, *Φασίηοι*...) და ზოგჯერ არაგეოგრაფიული საგანაც (*Ἄσθισορυχαιοί*).

როგორც ცნობილია, *Φασίη*-ი ანტიკურ წყაროებში ქალაქი ფასისის და არა ერთი მდინარის სახელწოდებად იხმარება, მაგრამ მდინარეთა შორის მეტწილად ის თანამედროვე რიონს აღნიშნავს.

მისი დინების ქვემო წელს. ჰიპოკრატეც ამ ნაწარმოებში ქალაქ ფასისს გულისხმობს და მდინარე ფასისის, ე. ი. თანამედროვე რიონის მიდამოს მცხოვრებლებს აგვიწერს. ამ აღწერილობაში ძნელი არაა ძველი კოლხიდის დაბლობის დანახვა. § 15. „ხოლო ვინც ფასისში ცხოვრობს, მათ შესახებ შემდეგი მაქვს სათქმელი: ეს ქვეყანა ჰაობიანია, თბილი, წყლებით მდიდარი და ხშირი ტყეებით დაფარული. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჰაობებში აქვთ და მათი ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული, ისინი იშვიათად დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში (ἐμπόριον — სავაჭრო ადგილებში), სამაგიეროდ დაცურავენ აღმა-დაღმა (ან აქეთ-იქით. თ. ყ.) ერთ ხეში ამოღებული ნავეებით¹, რადგან არხები ბევრია. ისინი სვამენ თბილსა და დამდგარ წყალს, მზისაგან დამპალს და წვიმებისაგან ადიდებულს. თვითონ ფასისი კი ყველა მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინჯია და ძალიან მდორედ მიედინება. ნაყოფი, რომელიც იქ წარმოიშვება, ყველა ზრდადაუსრულებელია, სუსტი და უვარგისი, წყლის სიუხვის გამო. ამიტომ აქ ნაყოფი არ მწიფდება. წყლებისაგან ამ ქვეყანას დიდი ნისლი ადგას. ამ მიზეზების გამოა, რომ ფასისელებს სხვა ადამიანებთან შედარებით დიდად განსხვავებული შესახედაობა აქვთ: ტანად დიდები არიან, სისქით — მეტისმეტად სქელები; არც ერთს არ ემჩნევა არც სახსარი და არც ძარღვი; კანი კი ყვითელი აქვთ, თითქოს სიყვითლე სჭირდეთ. ლაპარაკობენ ადამიანთა შორის ყველაზე უფრო ბოხი ხმით, რადგან სუფთა ჰაერით კი არ სუნთქავენ, არამედ ნოტიოთა და ნესტიანით; ხოლო საიმისოდ, რომ სხეულს ჯათა რაიმე მიაყენონ, ძალიან ზარმაცები არიან. [ამ ქვეყანაში] წლის დროები დიდად არ სხვაობენ ერთმანეთისაგან, არც სიცხის მხრივ და არც სიცივის მხრივ. აქ ბევრი სამხრეთის ქარი ქრის, გარდა ერთი ადგილობრივი ქარისა. ხოლო ეს ზოგჯერ ძლიერად და სასტიკად უბერავს და ცხელია. ამ ქარს უწოდებენ „კენზრონს“². ჩრდილოეთის ქარი

¹ ქართულად შეიძლება მას ვუწოდოთ რზგორც ყოფაშია დადასტურებული, ვარცლა-ნავეები, რომელთაც სამეგრელოში „ნუშა“ ან „ნიში“ ეწოდებათ (მ. გეგე-შიძე, წყლის ტრანსპორტი დას. საქართველოში, მიმომხილველი, III, 1953 წ. გვ. 241, მისივე „მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დას. საქართველოდან“ მუზეუმის მოამბე, XIX—B. გვ. 146—147).

² ვილამოვიცი ასე განმარტავს „კენზრონს“ — *αέριος* არის დიალექტური ფორმა *αέριος*—ისათვის, რაც ნიშნავს „სიმშრალეს“, „სიფიცხეს“. ასე უწოდებდნენ ფასისელები თავის *Scirocco*-ს. ამ მხარეში არის სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთის

აქამდე თითქმის ვერ აღწევს, ხოლო როდესაც უბერავს, ის სუსტი და წყნარია¹.

ამ მასალაში ორი რიგის ცნობებს ვხვდებით—ერთი არის აღწერილობა კოლხიდის ბუნებრივ-გეოგრაფიული მონაცემებისა და მეორე — თვით ხალხის გარეგნობისა და ყოფა-ცხოვრების. პირველი რიგის ცნობებში ყველაფერი რიგზეა. სწორედ არის აღწერილი კოლხიდის პაეა — თბილი, ზომიერი (ზამთარი რომ ზამთარს არ ჰგავს: ავტორს დიდი მასალა აქვს შესადარებლად — ცხადია, ჩრდილოეთის, ე. ი. თანამედროვე რუსეთის — ზამთართან და სამხრეთის — ე. ი. ეგვიპტის სიციხეებთან შედარებით კოლხიდაში წლის დროები დიდად არ არის განსხვავებული); ქვეყანა — ქაობიანი (ქაობები დაახლ. ამ 25 წლის წინაც იყო კოლხიდაში, არათუ ამ 25 საუკუნის წინ) წვიმიანი, წყლებითა და ტყეებით მდიდარი, ნაყოფი (ხილი, მავ.) წყლის სიმრავლის გამო განსხვავებული — თითქოს ზრდადაუსრულებელი.

ფასისი — დამდგარი და მღორედ მომდინარე (ე. ი. რიონი დაბლობზე რომ გამოდის, მართლაც წყნარად მიედინება, რასაც ვერ ვიტყვით მისი ზემო წელის შესახებ). ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გავიმეოროთ ვილამოვიც-მელენდორფის და ფ. იაკობის აზრი, რომ ავტორი (ე. ი. ჰიპოკრატე, თუმცა ვილამოვიცი არ სცნობს ჰიპოკრატეს ავტორობას) საგანგებოდ კარგად იცნობს პონტოს ქვეყნებს¹. მეორე ავტორი, Hans Diller-ი პირდაპირ ამბობს, რომ ჰიპოკრატე თვითონ პირადად არის ფასისზე ნამყოფი². სურათი, რაც მან აგვიწერა, მანამდე ბერძნულ მწერლობაში არსად გვხვდება. ჰიპოკრატე არის პირველი ავტორი, რომელმაც კოლხიდის ბუნების ასეთი (და, საფიქრებელია, ზუსტი) სურათი დაგვიტოვა³.

თბილი და მშრალი ქარი, რომელიც კარჩხალის მთებიდან უბერავს (Gr. Lesebuch. II, გვ. 135). ჰიპოკრატეს ტექსტი იმ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს „კენხრონი“ საკუთარი სახელი იყოს, მაგრამ, ჩანს, საზოგადო სახელი, ჩვეულებრივი ბერძნული სიტყვა, იხმარა ავტორმა, რაც ტექსტში მერე საკუთარი სახელივით დამკვიდრდა.

¹ Griechische Lesebuch von Ulrich von Wilamowitz-Moellendorff, I. Text. Zweiter Halbband, B. 1902. SS. 199—200.

F. Jacoby, Zu Hippokrates *Περὶ ἀέρων, ὑμᾶτων, τόνων*. Hermes, 46. Band, Berlin, 1911. SS. 518—567.

² Diller, H. *Wanderarzt und Aitiologe...* 1934, S. 79.

³ ამავე აზრის არის ჰიპოკრატეს შესახებ ალ. სვანიძეც. იხ. მისი „*Материалы по истории алародийских племен*“, Тбилиси, 1937, გვ. 125—126, 141.

მეორე საკითხია — ხალხის აღწერილობა. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჰიპოკრატე არსად ხმარობს სიტყვას „კოლხები“. თავი დაგანებოთ იმ პოლემიკას, რომელიც არსებობს ჰიპოკრატეს ავტორობასთან დაკავშირებით, იმაზე ხომ არავინ დაობს, რომ ეს ნაწარმოები ძვ. წ. V—IV ს-ში არის შექმნილი, იმ ეპოქაში, როდესაც „კოლხების“ სახელი კარგად იყო ცნობილი მთელი განათლებული სამყაროსათვის. მე ვფიქრობ, რომ ფასისის მიდამოში (ე. ი. დღევანდელ კოლხეთის დაბლობზე), ჰიპოკრატემ ბევრი სხვადასხვა ტომი ნახა საერთო ფიზიკური ნიშნებით (ჰენიოქები, კორაქსები, კოლები, კოლხები, ბიძერები, ეკექეზარიები, ბექეზარიები და სხვ. (ჩამოთვლილი მაქვს ე. წ. სკილაქსის „პერიპლუსის“ მიხედვით) და ისინი მოიხსენია ერთი გეოგრაფიული სახელწოდებით --- „ფასისელები“, მისთვის ცალკეული ტომების მიხედვით აღნიშნავს აზრი არ ჰქონდა, რადგან მისი მიზანი კონსტიტუციური ტიპის დადგენა იყო და არა სხვა რამ — სხვა უკვე მეორადია და იმასაც გვაუწყებს სხვათა შორის.

„ფასისელები“ ჰიპოკრატეს თხზულებაში ან კოლხების სინონი-მია, ან კრებითი სახელია ტომთა იმ ჯგუფისათვის, რომელშიც პირველობა იმ დროისათვის კოლხებს ეკუთვნოდათ.

როგორ ახასიათებს ფასისელებს ჰიპოკრატე — ისინი ტანმალ-ლები, მსუქნები და ჩაყვითლებულები არიან. ლაპარაკობენ ბოხი ხმით, საგანგებოდ არის აღნიშნული მათი სიზარმაცე. სცყვითლე, ჩანს, იმათი იქნა შემჩნეული, ვისაც მალარია სჭირდა და ასეთი ბევრი იქნებოდა ქაობებში მცხოვრებთაგან. რაც შეეხება მეტისმეტ სიმსუქნესა და სიზარმაცეს, ამაზე კიროს რაიმეს თქმა, რადგან ქართველი ხალხი და მით უმეტეს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, თავისი სისხარტითა და სიცქვეტით არის განთქმული. შესაძლოა ჰიპოკრატეს მეტისმეტად მსუქანი (ან დასიებული) და ზარმაცი ისევ ავადმყოფები ეჩვენენ, რომლებიც მას, როგორც ექიმს, უთუოდ უფრო აინტერესებდა, ვიდრე ჯანლონით სავსე მშრომელი ხალხი, რომლის დაკვირვების საშუალება ექიმს ნაკლებად ექნებოდა.

ქართველური ხალხების აღწერილობა ზოგ სხვა ავტორთანაც გვხვდება. მაგ., ჰეროდოტეს აღწერილობით „კოლხები არიან შავ-გვრემანები და ხუჭუჭთმიანები“ (ისტორია, II, 104). სხვა მათ ფიზიკურ თვისებებს იგი არ ეხება. პინდარე წერს არგონავტებზე: „შემდეგ ისინი მივიდნენ ფასისში. იქ ისინი შეებრძოლნენ შავპირ-სახიან (?— შავგვრემან) კოლხებს აეტესთან“ (IV პითიური ოდა, 211—213).

ქსენოფონტს დახასიათებული ჰყავს მოსინოაქები (და არა კოლხები) შემდეგდაგვარად: როდესაც ელინებმა მოსინოაქების ქვეყანაზე გაიარეს, მათ უჩვენეს მდიდარი მშობლების შვილები, დასუკლებული მოხარული წაბლით, გატყლარჭულები, ძალიან თეთრები და თითქმის ერთნაირები სიმაღლესა და სიგანეში... (ანაბასისი, V, 5, 32). აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასეთები მდიდართა შვილები არიან და არა ყველა მოსინოაქები.

ან კიდევ შესაძლოა ეს იყო ჰიპოკრატეს კონცეპციიდან გამომდინარე — მისი თეორიის თანახმად ზომიერ ჰავაში (და მაშასადამე კოლხეთშიც) ადამიანი უფრო ნებიერია, ზარმაცია, მსუქანია. ბუნების სუსხიან პირობებში ადამიანი ენერგიულია, ძარღვიანია და ა. შ. ჰიპოკრატეს ფასისელები ცხოვრობენ ხისა და ლერწმის სახლებში (რაც შეესაბამება სინამდვილეს, დას. საქართველოში მეტ წილად ხის სახლები შენდებოდა) და ქალაქებსა და ნავთსადგურებში (ერთგვარად შეპირისპირებულია ქალაქი და სავაჭრო ადგილი — ნავთსადგური, სადაც ვაჭრობა უფრო ცხოველია) ფეხით კი არ დადიან, არამედ ნავეებით მიცურავენ. რიონი რომ სანაოსნო მდინარე იყო, ამის შესახებ სხვა ავტორებიც მოგვითხრობენ (მაგ. სტრაბონი), დამატებით ჰიპოკრატე აღნიშნავს, რომ არ ხები ბევრია და იმაზედაც დაცურავენ ხოლმე ნავეებითაო. რიონს გარდა დას. საქართველოს სხვა მდინარეებიც იყო გამოყენებული სანაოსნოდ. მაგ., არიანე წერს: „აკამფსისი და ისისი სანაოსნო მდინარეები არიან“ (თავი VII. ე. ი. კოროხი და ნატანები), „(მოგროსიც) სანაოსნოა“ (იქვე. ე. ი. სუფსა); „სანაოსნო მდინარე ქარიენტი“ (თავი X. ე. ი. მდ. ხობი); „შევცურეთ მდინარე ქობოსში“ (იქვე, ე. ი. მდ. ენგური); „სანაოსნო მდინარე სინგამე“ (იქვე. ახლანდელი ერისწყალი) და სხვ.

ჰიპოკრატე ახსენებს ერთგვარ „ნავებს“, რასაც ის აღნიშნავს სიტყვით *μοισήλα*. ეს სიტყვა წარმოშობით ზედსართავი სახელია და ნიშნავს „მხოლოდ ხისას“, „ერთიანი, მთლიანი ხისაგან გაკეთებულს“. სხვა შემთხვევებში ამ ზედსართავს მოსდევს ხოლმე არსებითი სახელი *πλιθα*, რაც ჰიპოკრატეს ან გამოჩენია, ან კიდევ მისთვის ეს ზედსართავი გასუბსტანტივებულია.

ქსენოფონტი მოსინოაქების აღწერისას ამბობს, რომ „ისინი მოვიდნენ სამასი, ერთ ხეში ამოღებული ნავით (*τριακόντα πλιθα μοισήλα*) და თითოეულ მათგანში იჯდა სამ-სამი კაცი“ (ან. V, 4, 11). მ. მაქსიმოვას თარგმანში ვაქვს „на 300 длинных лодках“, რაც სიტყვა-სიტყვით არ გადმოსცემს *μοισήλα*-ს, მაგრამ

მთარგმნელს უთუოდ აქ მხედველობაში აქვს სხვა ავტორთა და კერძოდ სტრაბონის მიერ ხსენებული „კამარები“ (XI, 2, 12), რაც ესახებათ ხოლმე როგორც ერთ მთლიან ხეში გამოღრუნებული ნაფი, ან შემდეგ — თალიანი ნაფი.

ქალაქებისა და ნავთსადგურების შემჩნევა ქვეყანაში და იქ მოსახლეობის სხვადასხვა ადგილებიდან სისტემატური სიარულის აღნიშვნა უთუოდ იმის მომასწავებელია, რომ ჰიპოკრატემ დაინახა ამ ქვეყანაში (კოლხიდაში) განვითარებული სავაჭრო ურთიერთობა (საგანგებოდ არხებიც გაუთხრიათ, რომ საქონლის გადაზიდვა ნავეებით გაადვილებოდათ).

მეორე, ჩვენთვის საინტერესო ტომი, რომელზედაც ჩერდება ჰიპოკრატე, არის მაკროკეფალები. მათ შესახებ ის წერს. § 14 „...არც ერთ სხვა ტომს, არა აქვს [მაკროკეფალების] მსგავსი თავები. თავდაპირველად წეს-ჩვეულება გახდა მიზეზი მათი თავის სიგრძისა, ახლა კი ბუნებაც წაეშველა ამ წესს. რადგან ვისაც ყველაზე უფრო გრძელი თავი აქვს, ისინი არიან ყველაზე უფრო კეთილშობილებად მიჩნეულნი, მათი წეს-ჩვეულების მიხედვით ასე ხდებოდა: როგორც კი იზადებოდა ბავშვი, მის თავს, რომელიც ძალიან რბილი იყო, იმიტომ, რომ [ბავშვი] ჯერ სულ ჩვილია, ხელით აძლევდნენ ფორმას და აიძულებდნენ, რომ სიგრძეში გაზრდილიყო; ხმარობდნენ თავსაკრავებს და [სხვადასხვა] გამოსაყენებელ ხერხებს, რომელთა საშუალებითაც თავის სიმრგვალებს არღვევდნენ და მისი სიგრძე იზრდებოდა. ამრიგად, დასაწყისში წეს-ჩვეულება მოქმედებდა ისე, რომ ამგვარი ბუნება წარმოიქმნა; ხოლო დროთა ვითარებაში ის ბუნებად იქცა ისე, რომ წეს-ჩვეულება აღარ იყო აუცილებელი, რადგან თესლი [სხეულის] ყველა ნაწილიდან გამოდის, ჯანმრთელიდან — ჯანმრთელი, ხოლო სნეულიდან — სნეული. თუ მელოტებისგან მელოტები წარმოიშვებიან და ლურჯთვალეზათაგან ლურჯთვალეზიანები, თუ დაკვლანჭულთაგან მახინჯები ჩნდებიან (როგორც არის ეს მეტწილად), იგივე აზრი შეიძლება გავავრცელოთ სხვა ფორმების მიმართაც, რა უშლის ხელს იმას, რომ გრძელთავიანისაგან გრძელთავიანი გაჩნდეს? ეხლა კი აღარ ჩნდებიან იმგვარად, როგორც უწინ, რადგან წესჩვეულებას ძალა აღარ ჰქონდა ადამიანთა შორის ურთიერთობის გამო.“

საკუთრივ მაკროკეფალთა შესახებ აქ ერთი ცნობაა — რომ მათ საგანგებო მოყვანილობის (გრძელი) თავები აქვთ, რომლის მიზეზსაც ავტორი ხსნის მაკროკეფალთა გარკვეული წესჩვეულებით (ხელოვნურად აძლევდნენ ისინი ასეთ ფორმას ჩვილი ბავშვების

თავებს)¹. საინტერესოა ჰიპოკრატეს შემდეგი მსჯელობა: თავდაპირველად კი ხელოვნურად გამოჰყავთ ასეთი მოყვანილობის თავები, მაგრამ შემდეგ ეს იქცა მათ ბუნებად — ისევე როგორც მელოტი-საგან მელოტი ჩნდება, ლურჯთვალეზათაგან ლურჯთვალეზიანი, გრძელთავიანებისგან სულ გრძელთავიანი ჩამომავლობა წარმოიქმნება. ბოლოს კი (როგორც ჩანს, მრავალი თაობის შემდეგ) აღარ ჩნდებიან ასეთი გრძელთავებიანი, რადგან წეს-ჩვეულებას ძალა აღარ ჰქონდა (ე. ი. წეს-ჩვეულებას რომ გადაუხვიეს, მერე ბუნებამ ისევ თავისი ქნა, დაიბრუნა ძველი ფორმა).

ამ მსჯელობის მიხედვით ჰიპოკრატე მემკვიდრეობითი თეორიის წარმომადგენლად გვევლინება, რასაც შემდეგ, ახალი საუკუნეების ევროპაში ბევრი მიმდევარი აღმოუჩინდა, ხოლო XIX ს-ში ყველაზე უფრო სრულყოფილად ის ჩარლზ დარვინმა წარმოადგინა. როგორც ცნობილია, დარვინის თეორია დიდხანს იყო ძირითადი და წამყვანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში.

თუ სად ცხოვრობენ ჰიპოკრატეს მაკროკეთვალები, ამისი ზუსტად განსაზღვრა მხოლოდ მისი ცნობის მიხედვით ჰერს, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ თსისის მიდამოს მცხოვრებლებს ასახელებს მათ შემდეგ (და საერთოდ ამ პარაგრაფებში აზიისა და ევროპის ხალხთა თავისებურებებზე ლაპარაკობს).

მაკროკეთვალეების ხსენებას ეხედვით სხვა ბერძენ და რომაელ ავტორთა თხზულებებშიაც. მაგრამ ასე დაწვრილებით არსად არის მათ ამ ჩვეულებაზე ლაპარაკი. მაგალითად, აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი წერს (I, 1024): „...დიონისიოს ქალკიდელი ამბობს, რომ იმათ მაკრონები იმიტომ ჰქვიათ, რომ ისინი ევბეელთაგან არიან გამოსულები (ევბეიას მაკრონი ეწოდებოდა. — თ. ყ.), ხოლო სხვები ამბობენ, რომ მათ მაკრონები ეწოდებათ იმის გამო, რომ მათ შორის ბევრი არიან გრძელთავიანები (μακροκεφαλος), ისევე როგორც სპარსელებში ცხვირკებიანები (γρυσινος)“.

სხვა ავტორთა თხზულებებში ისეთი ცნობებია მაკროკეთვალეების შესახებ, რომ შესაძლებელი ხდება მათი ლოკალიზაცია. მაგ., ე. წ. სკილაქსის „პერიპლუსში“ ვკითხულობთ: „85. ბექქერების შემდეგ არის ტომი — მაკროკეთვალეები და ნავთსადგური თსორონი, ელი-

¹ მეცნიერებაში დადასტურებულია, რომ ბევრ სხვადასხვა ტომს აქვს წეს-ჩვეულებად ჩვილ ბავშვებს დაუგრძელონ თავები ხელოვნური მეთოდებით (სახვევებით და სხვა). Dittmer. H. Konstitutionstypen im Corpus Hippocraticum... 1940, S. 66.

ნური ქალაქი ტრაპეზუსი. 87. მაკროკეფალების შემდეგ არის ტომი — მოსინოეები“. An. Per. P. Luxini, § 37-ში არის: „ტრაპეზუნტიდან ვიდრე კუნძულ არეტიადამდე (და ფარნაკიამდე) ძველ კერასუნტამდე, პირველად ცხოვრობდა ტომი, რომელსაც ერქვა მაკრონები ანუ მაკროკეფალები“.

სტეფანე ბიზანტიონელი წერს: „მაკროკეფალები (ტომი) კოლხების მახლობლად“.

პომპონიუს მელას აქვს ასეთი ცნობა: I, 107 „შემდეგ (იგულისხმება „მოსინიკების შემდეგ“. — თ. ყ.) არიან ნაკლებად ველური ხალხები, მაგრამ გამორჩეულნი უხეში ჩვევებით. (ესენი არიან) მაკროკეფალები, ბეჭირები და ბუქსერები. ქალაქები იშვიათია. მთავარი (ქალაქებია) კერასუნტი და ტრაპეზუნტი“.

პლინიუსი გადმოგვცემს: VI, 11 „(მდ. თერმოდონტის შემდეგ ცხოვრობენ) ტომები კენარები, ხალიბები, არის კოტიების ქალაქი, ტომები: ტიბარენები, მასინები. ... ტომი მაკროკეფალები, ქალაქი კერასუნტი, ნავთსადგური კორდულე, ტომები ბეჭირები, ბუქსერები, მდინარე მელა (შავი), ტომი მაქორონები...“.

ამ ცნობების მიხედვით ვიგებთ, რომ მაკროკეფალები, ზოგი ავტორის აზრით, იგივე მაკრონები არიან და რომ ისინი ცხოვრობდნენ კოლხების მახლობლად, კერასუნტისა და ტრაპეზუნტის შიდაშოებში.

მაკრონების სახელი კარგად არის ცნობილი ძველ ბერძნულ მწერლობაში. მათ ახსენებენ (და ახასიათებენ) ჰეკატაეოს შილეტელი, ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, არიანე და სხვები. ივ. ჯავახიშვილი „მაკრონებს“ აიგივებს „მეგრელებთან“ (ქართველი ერის ისტორია, I, 1913 წ. გვ. 38—39). სტრაბონის ცნობით, მისი დროისათვის „მაკრონებს“ ეწოდებოდათ „სანები“ და ისინი ცხოვრობენ ტიბარენებთან და ქალდეებთან ერთად ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ (XII, 3, 18).

საგანგებო თავები აქვს დათმობილი ჰიპოკრატეს სკვითური ტომებისათვის. სკვითურ ტომთა შორის ის პირველ რიგში ასახელებს საერომატებს (§ 17). ესენი ცხოვრობენ ევროპაში, მეოტიდის ტბასთან. ამავე ცნობას ვხვდებით ჰეროდოტესთან (IV, 21) და სკილაქს კარიანდელთან (§ 70) (ე. ი. დაახლოებით ჰიპოკრატეს დროის ავტორებთან), რაც ჩვენს თანამედროვე არქეოლოგებს სარწმუნოდ მიაჩნიათ¹. ჰიპოკრატეს აზრით, ეს ტომი გამოიჩინევა

¹ Смирнов К. Ф., Проблема происхождения ранних сарматов. СА 1957, № 3, стр. 16. Виноградов Б. В., Сарматы Северо-восточного Кавказа, Гривный, 1963, стр. 13.

ყველა სხვა ტომისაგან; განსხვავება წეს-ჩვეულებაშია. სახელდობრ, ქალები ჯირითობენ, შუბს ისვრიან, მტერს ებრძვიან. ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ, ვიდრე ქალწულები არიან. ხოლო ქალწულობას არ ჰქარგავენ მანამ, ვიდრე სამ მტერს არ მოჰკლავენ; ხოლო არ თხოვდებიან მანამ, ვიდრე მათი კანონების მიხედვით გათვალისწინებულ მსხვერპლშეწირვას არ მოახდენენ (აქ შდრ. სხვა თარგმანებს, სადაც ცოტა სხვა ვითარებაა). გათხოვების მერე ქალები მხოლოდ მაშინ იღებენ მონაწილეობას ბრძოლაში, როდესაც საყოველთაო სავალდებულო ლაშქრობა ცხადდება.

საერომატ ქალებს მარჯვენა ძუძუ არა აქვთ. ამის შესახებ ჰიპოკრატე წერს: როცა ისინი ჩვილი ბავშვები არიან, დედები საგანგებოდ საამისოდ გაკეთებულ გავარვარებულ სპილენძის ხელსაწყოს ადებენ მათ მარჯვენა ძუძუზე და ამოუწვამენ ხოლმე, იმისათვის, რომ ძუძუს ზრდა შეჩერდეს და მთელი ძალა და ღონე გადავიდეს მარჯვენა მხარსა და მკლავზე. აქ უნდა შეინიშნოს ავტორის მიზართ ის, რომ საერომატი ქალების შემთხვევაში წეს-ჩვეულება მერე არ გადადის ბუნებაში (როგორც ეს მაკროკეფალთა მიმართ იყო).

საერომატების შესახებ ცნობები ბევრ ბერძენ და რომაელ ავტორს აქვს. ჰეროდოტეს ცნობით ისინი წარმოიშვნენ ამადონებისა და სკვითების შეუღლების შედეგად (IV, 110—116). ამადონები კი წარმოშობით მდ. თერმოლონტის მიდამოებიდან იყვნენ, საიდანაც ისინი ზღვით მეოტიდის ტბის ნაპირებამდე მოვიდნენ და დასახლდნენ.

აი, ამ ამადონების ვაჟკაცური ცხოვრების აღწერისას ჰეროდოტე ასეთ რამესაც გვაუწყებს: „ვერ გათხოვდება ვერც ერთი ქალწული უწინ, ვიდრე არ მოჰკლავს, მტერს — მამაკაცს. ზოგიერთი (ქალი) მათგან კვდება მოხუცებული, მაგრამ გაუთხოვარი, რადგან ვერ შესძლო ამ კანონის შესრულება“ (IV, 117)¹. რაც შეეხება მარჯვენა ძუძუს ამოწვას, ამის შესახებ ცნობები ჩვეულებრივ არის ხოლმე ამადონებთან დაკავშირებით (და არა საერომატებთან).

სტრაბონი წერს: (ამადონები) თვით მუშაობენ, ხნავენ, რგავენ მცენარეებს, (უვლიან) საძოვრებს და განსაკუთრებით კი ცხენებს; ხოლო უმამაცესნი მათ შორის ცხენებზე შემსხდრები ეწევიან მონადირეობას და ვარჯიშობენ საომარ საქმიანობაში. ყველა (ამადონს)

¹ კონტექსტის მიხედვით ეს ცნობა ეხება საერომატ ქალებს, მაგრამ შესაძლოა ამადონების შესახებაც იყოს აქ ლაპარაკი.

ამოუწვავენ ხოლმე მარჯვენა ძუძუს პატარობიდანვე, ისე რომ ადვილად იყენებენ მხარს ყოველგვარ საქმიანობაში, განსაკუთრებით კი შუბოსნობაში (XI, 5, 1). სავრომატებს, როგორც ქალთა მიერ მართულ ტომს ახსენებენ სკილაქსი (§ 70) და სკიმნოსი (880). წყარო ამ ორი ავტორისათვის არის ეფოროსი (ძვ. წ. IV ს-ის ისტორიკოსი).

სკიმნოსის აზრით, სავრომატ მამაკაცებს შეეუღლნენ ამადონები და ამიტომ არიან ისინი ქალთა მიერ მართულნი (γυναεκραταιομενοι).

სავრომატების სადაურობაზე და მათ კავშირზე ამადონებთან ლაპარაკობს დიონისიოს პერიეგეტიც (652—662 ტაეები), მაგრამ ის არ უწოდებს სავრომატებს ქალთა მიერ მართულებს. პლინიუსი (NH, VI, 7) და პომპონიუს მელა (I, 116) მეოტებს (ერთ-ერთ სავრომატულ ტომს) უწოდებენ Gynaecocratumenoe, ე. ი. ლათინურ ტექსტში დატოვებულია ბერძნული სიტყვა, ის თითქოს არსებით სახელადაც არის გაგებული.

სავრომატების შემდეგ ჰიპოკრატე გადადის დანარჩენ სკვითებზე, რომელთაც ის ნოზადებს უწოდებს (§ 18—22). ესენი გარეგნობით ერთმანეთისგან მცირედ განსხვავდებიან, სხვა ტომებს კი არ ჰგვანან. ამისი მიზეზი ავტორის აზრით ისაა, რომ ისინი სიცივისაგან არიან დაზარალები (ისევე, როგორც ეგვიპტელები სიცივისაგან) — სხვაგან არსად არის ასეთი სიცივე, ამიტომ (ბუნებრივი პირობების გამო) სხვები მათ არ შეიძლება ჰგავდნენ. სკვითები შესახედავად სქელები არიან; ხორცივანნი, განიერნი, ღონღლონი, უბალნონი, უძლურნი (§ 19). სხეული მათ ნოტიო აქვთ და დაბრეცილი. ფერად წითურები არიან (§ 20). ბუნებით ისინი ნაკლებ ვნებიანი და ნაყოფიერნი არიან. ამისი მიზეზი მამაკაცებში არის ცხენზე მუდმივი ჯდომა და ჯანჯლარი, ხოლო ქალებში — სხეულის სიმსუქნე და სინოტივე (§ 21). ამას გარდა სკვითებში განსაკუთრებით ბევრნი არიან სქესობრივად საერთოდ უძლური მამაკაცები, რომლებიც დედაკაცურად ირჯებიან და მათ მსგავსადვე ლაპარაკობენ (§ 22). შემდეგ ჰიპოკრატე მსჯელობს ამ უძლურების მიზეზებზე — მისი აზრით, ამისი მიზეზია დიდი სიცივე: ჯაფა და გამუდმებით ცხენზე ჯდომა და შემდეგ — ავადმყოფობის მკურნალობის მეთოდი (ყურებს უკან ძარღვების გადაჭრა), რასაც შედეგად ზოგჯერ მოჰყვება განკურნება, ხოლო ზოგჯერ მემკვიდრეობის გაგრძელების უნარის მოსპობა.

ეს ნომადი-სკვითები ცხოვრობენ ე. წ. სკვითურ უდაბნოში, რაც წარმოადგენს შედარებით მაღლობზე მდებარე მოტიტვლებულ ვაკე ადგილს, რომელიც ირწყვის დიდი მდინარეებით. ის მდებარეობს ზედ პოლუსისა და რიპეის მთებს ქვემოთ და გამუდმებით უბერავს ჩრდილოეთის ცივი ქარი. ამ ადგილებში მუდმივად ზამთარია, ხოლო ზაფხული სულ რაღაცა მცირერიცხოვანი დღეების მანძილზეა. მოსახლეობას ამ ბუნებრივ პირობებში ასეთი ცხოვრება აქვს: მათ არ აქვთ სახლები. ისინი ცხოვრობენ ურმებში. ურმები სხვადასხვა ზომისაა — ყველაზე პატარები ოთხთვლიანებია, სხვები კი ექვსთვლიანები. ამ ურმებს გარშემო ნაბადი აქვს შემოკრული (სიცივისა, ქარისა და თოვლისაგან დასაცავად). არის ისეთი ურმები, რომლებიც მოწყობილია ისევე, როგორც სახლები (ტექსტი გაუგებარია — ორ და სამ ოთახიანია, თუ ორმაგი და სამმაგი ქეჩით არის გარშემოკრული ურმები, თუ ორმაგი და სამმაგი ქეჩა აქვს სახურავად?). ურმებში შეგებულია ორი ან სამი უღელი ურქო ხარებისა, ამ ხარებს რქები არა აქვთ სიცივის გამო¹. ურმებში ცხოვრობენ ქალები, ხოლო მამაკაცები ცხენზე შემსხდარი მოგზაურობენ. ამ ურმებსა და ცხენებზე ამხედრებულ მამაკაცებს უკან მისდევს ცხვრები, ხარები და ცხენები. მომთაბარეები ერთსა და იმავე ადგილს რჩებიან იმდენ ხანს, რა ხანსაც ბალახი ჰყოფნის მათ საქონელს, ხოლო როდესაც საქონელი ყველაფერს გადასძოვს, მერე მთელი ეს ბანაკი იცვლის ადგილს. თვითონ მომთაბარე სკვითები იკვებებიან მოხარშული ხორციით, სვამენ ცხენის რძეს და ჭამენ ჰიბაყეს — ეს არის ცხენის ყველი. ასეთი ცნობები აქვს ჰიპოკრატეს ნომადი-სკვითების ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ჰიპოკრატეს ეს თხზულება ყურადღებას იპყრობს არა მარტო კონკრეტული ცნობებით, რომლებიც ეხება ქართველურ ტომებსა თუ მათ მეზობლებს. ამ ნაწარმოებში ავტორის მიერ გამოთქმულია რამდენიმე საინტერესო აზრი, რომელთა მიხედვითაც ავტორი თავისი დროისათვის ძალიან პროგრესულ მოაზროვნედ გვევლინება.

¹ ასეთი ცნობა გვხვდება აგრეთვე კლავდიუს ელიანუსთან (*Περὶ ζῳῶν*. II, 53), რომელიც ურქო ხარებს ასახელებს მიზიელების ქვეყანაში და ამ ურქოობის მიზეზად ამჯერად ყინვა არ მიაჩნია (ამავე დროს იხსენიებს სკვითების ქვეყანას, სადაც ყინვაა, მაგრამ იქ რქიანი ხარებიც არის). არისტოტელე ზოგადად წერს რქოსან საქონელზე და აღნიშნავს, რომ სკვითთაში ურქო „რქოსნები“ ჩნდებიანო (განსხვავებით ლიბიისაგან, სადაც რქიანებია იბადებიან უკვე) და ამის მიზეზად კლიმატი მიაჩნია (*Περὶ τῶν ζῳῶν ἰστορίαι*, VIII, 28).

1. გეოგრაფიული გარემო განაპირობებს ადამიანის ფიზიკურსა თუ სულიერ თვისებებს. მაგ., არის ასეთი ზოგადი დებულება: „მეტწილად ქვეყნის ბუნებას მიჰყვება ადამიანთა შესახედაობა და ზნე“ (§ 24) და ამ დებულების საილუსტრაციოდ ჰიპოკრატე ვრცელ მსჯელობას მართავს. მაგ., „სადაც დედამიწა ნოყიერია, რბილი და ბევრ წყალს შეიცავს... [სადაც] წლის დროების მონაცვლეობა კარგია, იქ ადამიანები ხორცოვანები არიან, დონდლონი, სითხით გაჟღენთილნი, უდარდელები და მეტწილად მხდალი სულის. მათ ახასიათებთ სიზარმაცე და მძინარობა. ხელოვნება არ ესმით და არც ნატიფები არიან და არც [გონება]მხვილნი. ხოლო სადაც ქვეყანა მოტიტვლებულია, უმცენარეო, ოღრო-ჩოღრო, სიცვიისაგან გატანჯული და მზისგან, გადამწვარი, იქ [ხალხი] უხეშია, გამხდარი, დანაკეთული და ბალნიანი. ისინი ასეთი ბუნების გამო საქმიანები არიან და ფხიზელნი. ზნე ამაყი აქვთ და ხასიათი — თავნება. უფრო ველური თვისებისა არიან, ვიდრე თვინიერის. შენ დაინახავ, რომ ხელოვნების მოყვარენი და ნიჭიერნი არიან და სამხედრო საქმიანობაშიც საუკეთესონი“... ამდაგვარი მსჯელობა ამ ნაწარმოებში სხვაც ბევრი გვხვდება.

2. ჰიპოკრატე ადამიანის (და აქედან გამომდინარე ტომის) პიროვნულ თვისებებზე მსჯელობისას მნიშვნელობას ანიჭებს მის საზოგადოებრივ მდგომარეობას, საერთო პოლიტიკურ სიტუაციას. მაგ., მე-16 პარაგრაფში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ აზიელები ნაკლებ მამაცები არიან, ვიდრე ევროპელები. ამის მიზეზად მიჩნეულია ქვეყნის ბუნებრივი პირობები და შემდეგ ის კანონები (γῆμοις): რომლებიც ამ ქვეყნებზე ვრცელდება; „აზიის მეტ წილს მეფე მართავს, ხოლო სადაც ხალხი თვითონ არ არის ძლიერი და დამოუკიდებელი და სხვა ბატონობს მასზე, მაშინ მას ის კი არა აქვს საზრუნავი, რომ საომარ საქმეებში ივარჯიშოს, არამედ ის, თუ როგორ მოაჩვენოს თავი, რომ მეტრძოლი არ არის. მართლაც და საფრთხე თანაბარი არაა, რადგან (დამორჩილებული ხალხი) ლაშქრობს, იტანჯება და კვდება იძულებით თავისი ბატონებისათვის, შვილებისაგან, ცოლისაგან და სხვა მეგობართაგან მოშორებით. რაოდენ კარგად და მამაცად არ უნდა მოქმედებდნენ ისინი, (ამ საქმეებისაგან) აღზევდებიან და იზრდებიან მათი ბატონები, ხოლო თვითონ კი საფრთხესა და სიკვდილს იმკიან მხოლოდ. ამის გარდა ამისთანა ადამიანები იძულებით იმორჩილებენ თავიანთ ვნებებს იმის გამო, რომ არ ომობენ და უმოქმედონი არიან, ისე რომ კიდევაც თუ ვინმეა ბუნებით მამაცი და გულადი, ამ კანონების გამო

ეცვლებათ მათ გუნება, ხოლო ამის საუკეთესო საბუთად შემდეგი გამოგვადგება: ვინც კი არიან აზიაში ელინები, თუ ბარბაროსები, რომელთაც არ ჰყავთ ბატონი, დამოუკიდებელნი არიან და თავისთვის ზრუნავენ, ისინი ყველაზე უფრო მებრძოლი ბუნების არიან, რადგან ისინი საფრთხეში თავს თავისი თავისთვისვე ივლებენ და ჯილდოს სიმამაცისთვის თვითონვე ღებულობენ, ისევე, როგორც სასჯელს — სიმხდალისათვის“...

მსგავს მსჯელობას ვხვდებით ამ ნაწარმოებში მეორეგანაც: (§ 23) „...სიწყნარესა და სიზარმაცეში სიმხდალე ვითარდება, ხოლო დაძაბულობისა და შრომისაგან — სიმამაცე. ამის გამო და კანონების გამოც ევროპის მოსახლეობა მებრძოლია — ისინი ხომ მეფეს არ ექვემდებარებიან, როგორც აზიელები. რადგან სადაც მეფეს ექვემდებარებიან, იქ უთუოდ ძალიან მხდალებიც იქნებიან... სულს, როდესაც ის დამონებულია, არ სურს ნებაყოფლობით ტყუილ-უბრალოდ თავი საფრთხეში ჩაიგდოს სხვისი ძალაუფლებისათვის; ხოლო ვინც დამოუკიდებელია, ისინი თავისი თავისთვის ვარდებიან ხიფათში და არა სხვისთვის. ისინი თავისი ნებით, ხალისით ეგებებიან ხიფათს, რადგან გამარჯვების ჯილდოს თვითონ იღებენ.

ამრიგად კანონებს მცირე მნიშვნელობა არა აქვთ სულის მხნეობისათვის“ (უნდა შეინიშნოს, რომ სიტყვა „კანონები“ ამ კონტექსტში ნახშიარია „წესწყობილების“ მნიშვნელობით).

3. საინტერესოა ჰიპოკრატეს მსჯელობა ავადმყოფობათა ბუნების შესახებ. მას აქვს ასეთი დებულება: ყველა ავადმყოფობა თანაბარია, ყველა ღვთაებრივია და ყველა ადამიანურია; თითოეულს აქვს თავისი ბუნება და არაფერი ხდება ბუნების გარეშე (§ 22).

საინტერესოა არგუმენტაცია: ნომად სკვითებში ხშირია იმპოტენცია, რისი მიზეზიც, როგორც ზემოთაც ითქვა, ჰიპოკრატეს აზრით, არის გამუდმებით ცხენზე ჯდომა, ამით გამოწვეული ავადმყოფობა და შემდეგ ამ ავადმყოფობის მკურნალობა — ყურებს უკან ძარღვების გადაქრა, რასაც ზოგ შემთხვევაში მოჰყვება ხოლმე იმპოტენცია.

